ხელშეკრულება № 33
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი ივნისი 2023 წ.

ერთი მხრივ, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ კონცელიძის სახით და მეორე მხრივ, ფ/პ, მამუკა ლობჟანიძის (პ/ნ 01017006746) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”) , ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით სატრენინგო მომსახურების შესყიდვა თემაზე: FIDIC-ის სახელშეკრულებო ფორმები, შინაარსობრივი განსხვავებები, ძირითადი მოთხოვნები და მათი თანხვედრა ადგილობრივ კანონდებლობასთან.

2.2. მომსახურების (ტრენინგი „საკლასო“ ფორმატით) განხორციელების ადგილია: ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.124, შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია.

2.3. სატრენინგო მომსახურებას გაუწევს ტრენერი FIDIC-ის ფედერაციის საერთაშორისო გამოცდილების მქონე უფლებამოსილი კონსულტანტი - მამუკა ლობჟანიძე (პ/ნ 01017006746)

2.4. (CPV კოდი - 80500000, 80530000)სატრენინგო მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს შეადგენს 4150 (ოთხი ათას ას ორმოცდაათი) ლარს;

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3. დაფინანსების წყარო აჭარის არ ბიუჯეტი.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის თანამშრომლებისთვის სასწავლო ტრეინინგის ორგანიზება და ჩატარება 2023 წლის 12-14 ივნისის ჩათვლით.

4.1.2. ტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ნარჩენების მართვის კოდექსი და კომპანიის ვალდებულებები

- FIDIC-ის სახელშეკრულებო ფორმები;

- შინაარსობრივი განსხვავებები, ძირითადი მოთხოვნები და მათი თანხვედრა ადგილობრივ კანონდებლობასთან.

4.1.3. მომსახურების გაწევა განახორციელდება სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე ტრენერის მიერ. ტრენერი მამუკა ლობჟანიძე - FIDIC-ის ფედერაციის საერთაშორისო გამოცდილების მქონე უფლებამოსილი კონსულტანტი.

4.1.6. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.7. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ შესყიდვების კოორდინატორი ლალი ცოცხალაშვილი.

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები) უფლებამოსილია ჩაატაროს კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. მ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ მისამართი: ბათუმი, გორგასალის ქ.124 საბანკო რეკვიზიტები: “ტერა ბანკი“ ბანკის კოდი – TEBAGE22 ს/ნ – GE98KS00000003400800017 საიდენტიფიკაციო კოდი - 245626684	**მომწოდებელი: ფ/პ მამუკა ლობჟანიძე** **პ/ნ 01017006746,** **მისამართი: ქ. თბილისი, 0105, მთაწმინდის რაიონი, დიმ. ყიფიანის ქ. № 29საბანკო რეკვიზიტები:** საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი : BAGAGE22 ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“ ანგარიშის N GE43BG0000000259408300
დირექტორი ნოდარ კონცელიძე	**ფ/პ მამუკა ლობჟანიძე**

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2023.06.12 13:15:55 +04'00'